MES 2 23 0000524597

10/05/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 25.04.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში -აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე- 13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**
3. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი**
4. **ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ -თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;

7. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
8. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
9. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
10. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
11. ქე**თევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **ნინო ღაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
14. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
15. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
16. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
17. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**ანა ბილანიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	რამაზ კუკულაძე	შპს ალტე უნივერსიტეტი	პრეზიდენტი	I, II

2.	ნინო ალავიძე		ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის დირექტორი	I, II
3.	ირმა ნოზაძე		პროგრამების შესაბამისობის სამსახურის უფროსი	I, II
4.	ნანი არაბული		კომპიუტერული მეცნიერებების სკოლის დეკანი	I, II
5	ნანა დიხამინჯია		კომპიუტერული მეცნიერების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამების ხელმძღვანელი	I, II
6	სალომე ონიანი		კომპიუტერული მეცნიერების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამების ხელმძღვანელი	I, II
7	ვლადიმერ ღლონტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;	III
8	გაიოზ ფარცხალაძე		პროფესორი, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;	III
9	ალეკო კალანდია,		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;	III
10	მერაბ არძენაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;	III
11	გოჩა ჩავლეშვილი		ასოცირებული პროფესორი, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	III
12	ანა ქეშელაშვილი	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ციფრული მედია და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
13	დავით წასიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;	IV
14	ნიკა გიგაური		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი; თამთა თვალავაძე - ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი	IV
15	კახი კოპალიანი		პროგრამის ხელმძღვანელი;	V

		სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი		
16	ირმა დიხამინჯია		ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	V
17	ომეო გალდავა		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	მაქსიმ იავიჩი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	რომეო გალდავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
3	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
4	ჯოვანა აბლოთია	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
5	თამარ სანიკიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	ნინო ჩხარტიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	ნატალია ცქიტიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	ირმა ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	ნინო ქოთოლაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	დალი ოსეფაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	ქეთევან ბერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4

პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.შპს ალტე უნივერსიტეტის" კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2.შპს ალტე უნივერსიტეტის"კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3.სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რუსული ფილოლოგიის" საბაკალავრო, "რუსული ფილოლოგიის" (რუსულენოვანი) საბაკალავრო, "სლავური ფილოლოგიის" სამაგისტრო, "სლავური ფილოლოგიის" (რუსულენოვანი) სამაგისტრო და "თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის საკითხის განხილვა;
5.ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის შედეგების განხილვა;
6.სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის შედეგების განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· კი

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა მე-4 საკითხის - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რუსული ფილოლოგიის" საბაკალავრო, "რუსული ფილოლოგიის" (რუსულენოვანი) საბაკალავრო, "სლავური ფილოლოგიის" სამაგისტრო, "სლავური ფილოლოგიის" (რუსულენოვანი) სამაგისტრო და "თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის საკითხის განხილვა საბჭოს პირველი მაისის სხდომაზე გადატანის შესახებ და ცენტრს მიმართა შუამდგომლობით დარგის სხვა ექსპერტების მოწვევის მიზნით.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1.შპს ალტე უნივერსიტეტის"კომპიუტერული მეცნიერების"ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2.შპს ალტე უნივერსიტეტის"კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3.სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4.ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის შედეგების განხილვა;

5.სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის შედეგების განხილვა;

1.პირველი საკითხი : შპს ალტე უნივერსიტეტის"კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ. N2, თბილისი, 0177, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შპს ალტე უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21- 22 თებერვალს. შეხვედრები გაიმართა კომპიუტერული მეცნიერების ქართულენოვან პროგრამასთან და კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვან პროგრამასთან მიმართებით. 2023 წლის 18 თებერვალს განხორციელდა წინამოსამზადებელი შეხვედრა, სადაც ექსპერტების მხრიდან მოხდა პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების შეჯერება. 2023 წლის 21 თებერვალს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან , აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ვიზიტი გაგრძელდა 22 თებერვალს და განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, შეხვედრა დამსაქმებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დეკანთან. ვიზიტის დასასრულს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.
შპს ალტე უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტში არსებული გასაჩვრების პროცედურების შესახებ სტუდენტების ინფორმირება.

2. რეკომენდებულია, საერთაშორისო გაცვლითი პროექტების, საერთაშორისო კონფერენციებისა და ღონისძიებების დამატება/გამრავალფეროვნება და სტუდენტების შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფა.
3. აუცილებელია გაძლიერდეს და გამოიკვეთოს ყველა დაინტერესებული მხარის თანაბარი ჩართულობა როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე მისი განვითარების პროცესში

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, მოუწოდა ექსპერტს უფრო ვრცლად ესაუბრა მე-3 სტანდარტთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა განმარტა, რომსტუდნეტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, სტუდენტებთან მეტი ჩართულობის საჭიროება ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, რეკომენდებულია, საერთაშორისო გაცვლითი პროექტების, საერთაშორისო კონფერენციებისა და ღონისძიებების დამატება/გამრავალფეროვნება და სტუდენტების შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთის და პირველ რეკომენდაციასთან მიმართებითაღნიშნა, რომ დაწესებულებაში ყოველსემესტრულად ხდება სტუდენტების ინტენსიური ინფორმირება, როგორც სასწავლო პროცესების მმართვის სამსახურის, ასევე სკოლების ადმინისტრაციების მხრიდან. თუმცა, ვინაიდან, შეფასების ფარგლებში მოცემული რეკომენდაცია ექსპერტებმა გასცეს მომიჯნავე პროგრამასთან დაკავშირებით, შინაარსობრივად აღნიშნულს აქვს უფრო მეტად რჩევის ხასიათი.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, ამ ეტაპზე კომპიუტერული მეცნიერებების სკოლა თანამშრომლობს დაახლოებით 11 ეროვნულ და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან, ასევე გაფორმებულია მემორანდუმები.
მნიშვნელოვანია ასევე მე-3 რეკომენდაცია, კერძოდ, დამსაქმებლები ჩართულნი იყვნენ როგორც შრომის ბაზრის კვლევაში, ისე ახალი პროგრამების გაზიარების ეტაპზე. ამასთან, პროგრამებთან დაკავშირებით დაწესებულებამ დამსაქმებლებისგან მიიღო უკუკავშრი, რაც თავად პროგრამის შემუშავების დროს იქნა მასში ასახული, ისევე როგორც სხვა საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები
საბჭოს წევრმა, თინათინ ჭაბუკიანმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ექსპერტების მიერ არის მითითება, რომ სტუდენტების გამოკითხვა არ ხდება ნებაყოფლობით და მათი მოსაზრება საკითხთან დაკავშირებით არის ის რომ პროცესი არის ფორმალური. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ იგეგმება თუ არა ამ კუთხით რაიმე ცვლილებები.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ პროგრამის აღწერაში განსაზღვრულია საბაკალვრო პროგრამის დასრულების ვადები, რაც გულისხმობს 4 სასწალო წელს. თუმცა, თუ სტუდენტი ვერ აღნიშნულ ვადაში ვერ ასრულებს საბაკალავრო საფეხურს შესაძლებელია სემესტრების დამატება, თუმცა მოცემული ინფორმაცია არ არის დეტალური და ამომწურავი სტუდენტისთვის. მასში არ არის მოცემული თუ რამდენი სემესტრის დამატება შეუძლია სტუდენტს და რა პროცედურებია განსაზღვრული ამისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი, რა თქმა უნდა, გაითვალისწინებს სტუდენტთა მოსაზრებასა და სტანდარტის მოთხოვნებს საკითხთან მიმართებით. დაწესებულებას ასევე მექანიზმებში გაწერილი აქვს ფოკუს ჯგუფების ჩატარების საკითხიც.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება ვერ შეზღუდავს სტუდენტს სწავლის გახანგრძლივების საკითხში, თუმცა ერთადერთი შეზღუდვა არის ერთი და იმავე საგნის რამდენჯერმე გავლა. მოცემულ შემთხვევაში სტუდენტს უწყდება სტუდენტის სტატუსი და აღარ ეძლევა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარე დააყენა შუამდგომლობა მე-2 საკითხის (შპს ალტე უნივერსიტეტის"კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა) განხილვის შემდგომ გასულიყვნენ სათათბირო შესვენებაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით, რადგან აღნიშნული საკითხიც ეხებოდა იგივე უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიოტაციის საკითხს და ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაც იდენტური იყო. რაზეც სხდომაზე დამსწრე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა.

2. მეორე საკითხი : შპს ალტე უნივერსიტეტის"კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ. N2, თბილისი, 0177, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შპს ალტე უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21- 22 თებერვალს. შეხვედრები ტარდებოდა კომპიუტერული მეცნიერების ქართულ ენოვან პროგრამასთან და კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურ ენოვან პროგრამასთან მიმართებით. 2023 წლის18 თებერვალს განხორციელდა წინამოსამზადებელი შეხვედრა, სადაც ექსპერტების მხრიდან მოხდა პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების შეჯერება. 2023 წლის 21 თებერვალს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან , აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ვიზიტი გაგრძელდა 22 თებერვალს და განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, შეხვედრა დამსაქმებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დეკანთან. ვიზიტის დასასრულს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით
შპს ალტე უნივერსიტეტის"კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომედებულია, უნივერსიტეტში არსებული გასაჩვრების პროცედურების შესახებ სტუდენტების ინფორმირება.
2. რეკომენდებულია, საერთაშორისო გაცვლითი პროექტების, საერთაშორისო კონფერენციებისა და ღონისძიებების დამატება/გამრავალფეროვნება და სტუდენტების შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფა.
3. აუცილებელია გაძლიერდეს და გამოიკვეთოს ყველა დაინტერესებული მხარის თანაბარი ჩართულობა, როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე მისი განვითარების პროცესში

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, დააზუსტა, თუ როგორ არიან ჩართულნი დამსაქმებლები პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მიხედვით გაწერილია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, მათ შორის, რა თქმა უნდა, დამსაქმებლების ჩართულობაც. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით დამსაქმებლები სრულიად ინფორმირებულნი არიან. რაც შეეხება დამსაქმებელების ჩართულობის ფორმებს, მოცემული გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების ეტაპზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:30
დასრულების დრო: 14:41

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ალტე უნივერსიტეტის"კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თანზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ალტე უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეციერების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (2025 წლის 31 დეკემბერი) 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

აბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები. ესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

ეკომენდაციები:

1. რეკომედირებულია, უნივერსიტეტში არსებული გასაჩვრების პროცედურების შესახებ სტუდენტების ინფორმირება.
2. რეკომენდირებულია, საერთაშორისო გაცვლითი პროექტების, საერთაშორისო კონფერენციებისა და ღონისძიებების დამატება/გამრავალფეროვნება და სტუდენტების შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფა.
3. 3.აუცილებელია გაძლიერდეს და იკვეთებოდეს დაინტერესებული ყველა მხარის თანაბარი ჩართულობა, როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე მისი განვითარების პროცესში

რჩევები:

- პროგრამის მიზნების მეტი თვალსაჩინოებისათვის, სასურველია პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდეს პუნქტობრივად.
- კურსიებისთვის „პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირების საფუძვლები“ და კროპროცესორების შესავალი“ არ არის საჭირო პრერეკვიზიტი „ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება“,
- კურსს „შესავალი რელაციურ მონაცემთა ბაზებში“ არ არის საჭირო პრერეკვიზიტი „მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმები“,
- სასურველია საგანი „წრფივი ალგებრა და დისკრეტული მათემატიკა“ გაიყოს საგნებად „წრფივი ალგებრა“ და „დისკრეტული მათემატიკა“.
- მეტი ყურადღება დაეთმოს დამსაქმებელთან უკუკავშირს.
- სწავლის შედეგების სიღმრისეული ანალიზისთვის, სასურველია, ინდივიდუალური საშინაო დავალებების რაოდენობის შემცირება და ქულების გადანაწილება სხვა ალტერნატიულ შეფასების კომპონენტებზე.
- სასურველია, სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღების მიზნით უსდ-ს მიერ დაგეგმილი გმოკითხვები იყოს ნებაყოფლობითი.
- .სასურველია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან სტუდენტებთან საკონსულტაციო საათების მიზნობრიობაზე აქტიური კომუნიკაცია და მათი წახალისება, რათა ეფექტურად გამოიყენონ ეს დრო.
- სასურველია, წარმატებულ სტუდნეტთა წახალისების მექანიზმებისა და კომპონენტების დეტალური ჩაშლა, თუ რა შემთხვევაში იქნება სტუდენტი უნივერსიტეტისგან წახალისებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სშპს ალტე უნივერსიტეტის"კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თანზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ალტე უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (2025 წლის 31 დეკემბერი) 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

აბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები. ესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
ეკომენდაციები:

1. რეკომედირებულია, უნივერსიტეტში არსებული გასაჩვრების პროცედურების შესახებ სტუდენტების ინფორმირება.
2. რეკომენდირებულია, საერთაშორისო გაცვლითი პროექტების, საერთაშორისო კონფერენციებისა და ღონისძიებების დამატება/გამრავალფეროვნება და სტუდენტების შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფა.
3. აუცილებელია გაძლიერდეს და იკვეთებოდეს დაინტერესებული ყველა მხარის თანაბარი ჩართულობა, როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე მისი განვითარების პროცესში

ჩევები:

- პროგრამის მიზნების მეტი თვალსაჩინოებისათვის, სასურველია პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდეს პუნქტობრივად.
- კურსიებისთვის „პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირების საფუძვლები“ და კროპროცესორების შესავალი“ არ არის საჭირო პრერეკვიზიტი „ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება“,
- კურსს „შესავალი რელაციურ მონაცემთა ბაზებში“ არ არის საჭირო პრერეკვიზიტი „მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმები“,
- სასურველია საგანი „წრფივი ალგებრა და დისკრეტული მათემატიკა“ გაიყოს საგნებად „წრფივი ალგებრა“ და „დისკრეტული მათემატიკა“.
- მეტი ყურადღება დაეთმოს დამსაქმებელთან უკუკავშირს.
- სწავლის შედეგების სიღმრისეული ანალიზისთვის, სასურველია, ინდივიდუალური საშინაო დავალებების რაოდენობის შემცირება და ქულების გადანაწილება სხვა ალტერნატიულ შეფასების კომპონენტებზე.
- სასურველია, სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღების მიზნით უსდ-ს მიერ დაგეგმილი გმოკითხვები იყოს ნებაყოფლობითი.
- .სასურველია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან სტუდენტებთან საკონსულტაციო საათების მიზნობრიობაზე აქტიური კომუნიკაცია და მათი წახალისება, რათა ეფექტურად გამოიყენონ ეს დრო.

- სასურველია, წარმატებულ სტუდნეტთა წახალისების მექანიზმებისა და კომპონენტების დეტალური ჩაშლა, თუ რა შემთხვევაში იქნება სტუდენტი უნივერსიტეტისგან წახალისებული.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, რომ გადაწყვეტილებები საბჭოს თარიღით შევიდეს ძალაში, აღნიშნული შუამდგომლობა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრებმა დააკმაყოფილეს და შპს ალტე უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიებეის" ინგლისურენოვანი და ქართულ ენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებები ძალაში შევიდა 2023 წლის 25 აპრილიდან.

3.მესამე საკითხი : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სასურსათო ტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0721 სურსათის გადამუშავება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	გრიშაშვილის 1. №5, ფიროსმაბის ქ. №12, ნინოშვილის №35, ბათუმი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ნინო ჭალაგანიძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ბრძანების შესაბამისად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა „სასურსათოს ტექნოლოგია“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შეფასების მიზნით, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, იმუშავა დაწესებულების მიერ მოწოდებულ მასალებზე დაყრდნობით. ექსპერტთა ჯგუფმა უსდ-ში ვიზიტი განახორციელა 2023 წლის 23 თებერვალს. ამავე დღეს მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ვიზიტის მსვლელობისას შეხვედრები და ინტერვიუები გაიმართა: უსდ- ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან; აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან; დათვალიერებისას - ბიბლიოთეკის და ლაბორატორიების მმართველებთან. გასაუბრებების დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა დამატებითი დოკუმენტაციის ნუსხის გაზიარების მოთხოვნა, უსდ-ს წარმომადგენელის მხრიდან აკრედიტაციის ვიზიტის დროს მოხდა აღნიშნული დამატებითი დოკუმენტაციის ელ. ვერსიების გაზიარება.
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის მიზნები დაკორექტირდეს და საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტების შესაბამისად ტერმინოლოგიურად გასწორდეს
2. პროგრამის მიზნები და პროგრამის სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსების განახლების და ზოგიერთი კურსის დამატების საფუძველზე
3. პროგრამის სწავლის შედეგები დაკორექტირდეს და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამაში შეტანილ ახალ სასწავლო კურსების საფუძველზე, რომელიც პროგრამას გახდის სრულყოფილს და პროფილს გააფართოვებს.
4. სრულყოფილი, კვალიფიციური, პროფესიული და რეგიონის სტრატეგიიდან გამომდინარე, ინტერესების და კვალიფიკაციის გაფართოების მიზნით მიზანშეწონილია პროგრამა გამდიდრდეს ისეთი სასწავლო კურსებით, როგორიცაა: ხორცისა და ხორცის პროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების, თევზის და საკონდიტრო წარმოების თემატიკები, რაც უზრუნველყოფს დასაქმების სფეროს გაზრდას.
5. დაზუსტებული სწავლის შედეგების გათვალისწინებით სწავლის შედეგების რუკის დაკორექტირება;
6. დარგში არსებული თანამედროვე, აღიარებული სტანდარტების და ტერმინოლოგიის გამოყენებით სილაბუსების დახვეწა და ცვლილებების განხორციელება ; („კვების პროდუქტების წარმოების პროცესები და აპარატები“, „კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობები“ „კვების პროდუქტების უსაფრთხოება“, „კვების პროდუქტების სტანდარტიზაცია, სერტიფიცირება’, კვების პროდუქტების ქიმია“, შრომის დაცვა“, „პროფესიული პრაქტიკა 1“, „პროფესიული პრაქტიკა 2“, „ტექნიკური მიკრობიოლოგია“)
7. პროგრამის „სასურსათო ტექნოლოგია“ ყველა სასწავლო კურსში წარმოდგენილი მოცულობითი სწავლის შედეგები დაკორექტირდეს და გახდეს კომპაქტური;
8. თემატური სასწავლო სილაბუსების მიხედვით (ღვინის ტექნოლოგია, ლუდისა და უალკოლო სასმელების ტექნოლოგია და სხვ) სალექციო თემებში განხილული თემატური ტექნოლოგიები, ოპერაციები და მოწყობილობები გადანაწილდეს შესაბამისი თემატიკების მიხედვით საერთო სასწავლო სილაბუსში; ან პირიქით.
9. პრაქტიკის სასწავლო სილაბუსში დაემატოს ხორცისა და რძის საწარმოში გასავლელი საწარმოო პრაქტიკის საათები;
10. გადაიხედოს და დაკორექტირდეს დატვირთვები. განისაზღვროს ყველა სასწავლო კურსში ჯგუფში მუშაობის ფორმა (პრაქტიკული/სემინარი), და შესაბამისად გაიწეროს მისი შეფასების კრიტერიუმები;
11. სასწავლო კურსის ლიტერატურიდან ამოღებულ იქნას პროფესიული სასწავლებისთვის განკუთვნილი ლიტერატურა და გადატანილ იქნას დამატებით ლიტერატურაში მაგ: პუტცი, შაფათავა -ნაცვლიშვილი, და სხვ.
12. პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა პერმანენტულად განახორციელოს დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სასწავლო მასალებით სალექციო თემატიკის გამდიდრება და შესაბამისი ლიტერატურით უზრუნველყოფა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი დადებითად აფასებს ექსპერტთა დასკვნას. მოცემული პროგრამა გარდა იმისა, რომ სრულიად ბმაშია უნივერსიტეტის მიზნებთან ის ასევე შეესაბამება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას და ქვეყნის რეგიონალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას. ამასთან, პროგრამა უნიკალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ ის მომზადდა აკადემიური და სამეცნირო პერსონალის კოოპერირებით. ღსანიშნავია ასევე, რომ დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციაებს და გაატარებს შესაბამის და აუცილებელ ცვლილებებს, ამასთან, მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ „სასურსათო ტექნოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამის შედგენისას ბსუ-ს ადამიანურ და მატერიალურ რესურსებთან ერთად გათვალისწინებული იქნა საზღვარგარეთის და საქართველოს უნივერსიტეტების შესაბამისი აკრედიტებული პროგრამების სასწავლო გეგმები, რომლებიც არ ითვალისწინებდა რძის, რძის პროდუქტების, ხორცისა და ხორცის პროდუქტების, ასევე თევზის გადამუშავების ტექნოლოგიებს. თუმცა, კვალიფიკაციის გაფართოების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია ჩართული იქნეს ხორცისა და ხორცის პროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების, თევზის და საკონდიტრო წარმოების თემატიკები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრათ მიღების წინაპირობებზე, მაშინ როცა ექსპერტებს მითითებული აქვთ ქიმიის ან ბიოლოგიის დამატება. მასთან, საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა დაწესებულებას პოზიცია დაეფიქსირებინა მე-10 რჩევასთან მიმართებით, რომელიც გულისხმობდა საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღავნელის შეფასების წილის შემცირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შეფასების ქულობრივი გადანაწილების საკითხი არის ზოგადად საუნივერსიტეტო მიდგომა. რაც შეეხება მიღების წინაპირობებს, რა თქმა უნდა, სასურველია იყოს მეტი წინაპირობა, თუმცა მსგავსი აბიტურიენტების მოზიდვა რთულია, შესაბამისად, უნივერისტეტი აბიტურიენტებს აძლევს მეტ შესაძლბელობას.

რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციას, უნივერსიტეტი სრულიად არის ჩართული გაცვლით პროგრამებში და სთავაზობს სტუდენტებს სხვადასხვა პროექტებს. ერთადერთი შემზღუდველი ფაქტორი მოცემულ შემთხვევაში არის ინგლისური ენის ცონის დონე, აღსანიშნავია ასევე საგრანტო პროექტები, რომლეიც საკმაოდ ბევრი აქვს დაწესებულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა საბაკლავრო ნაშრომის(შეფასებისა და დაცვის)? წესთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ რეგლამენტის შესაბამისად, განსაზღვრულია საბაკალავრო ნაშრომის შეფასების პროცედურები, სადაც მოცემულია ზოგადი სქემა თუ როგორ უნდა მოხდეს ნაშრომის მომზადება და შეფასება. ქვე, მითითებულია რომ შეფასებაში მონაწილოებს ხელმძღვანელი 30 ქულით, რეცენზენტი 30 ქულით და 40 ქულა არის მაქსიმალური შეფასება, რომელიც შეუძლია სტუდენტს მიიღოს დაცვის პროცესში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:00

დასრულების დრო: 15:18

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასურსათო ტექნოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (2025 წლის 31 დეკემბერი) 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები. ესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

ეკომენდაციები:

1.რეკომენდებულია პროგრამის მიზნები დაკორექტირდეს და საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტების შესაბამისად ტერმინოლოგიურად გასწორდეს

2.პროგრამის მიზნები და პროგრამის სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსების განახლების და ზოგიერთი კურსის დამატების საფუძველზე;

3. პროგრამის სწავლის შედეგები დაკორექტორდეს და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამაში შეტანილ ახალ სასწავლო კურსების საფუძველზე, რომელიც პროგრამას გახდის სრულყოფილს და პროფილს გააფართოვებს.

4.სრულყოფილი, კვალიფიციური, პროფესიული და რეგიონის სტრატეგიიდან გამომდინარე, ინტერესების და კვალიფიკაციის გაფართოების მიზნით მიზანშეწონილია პროგრამა გამდიდრდეს ისეთი სასწავლო კურსებით, როგორიცაა: ხორცისა და ხორცის პროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების, თევზის და საკონდიტრო წარმოების თემატიკები, რაც უზრუნველყოფს დასაქმების სფეროს გაზრდას.

5.დაზუსტებული სწავლის შედეგების გათვალისწინებით სასწავლო შედეგების რუქის დაკორექტირება;

6. დარგში არსებული თანამედროვე, აღიარებული სტანდარტების და ტერმინოლოგიის გამოყენებით სილაბუსების დახვეწა და ცვლილებების განხორციელება ; („კვების პროდუქტების წარმოების პროცესები და აპარატები“, „კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობები“ „კვების პროდუქტების უსაფრთხოება“, „კვების პროდუქტების სტანდარტიზაცია, სერტიფიცირება’, კვების პროდუქტების ქიმია“, შრომის დაცვა“ „პროფესიული პრაქტიკა 1“, „პროფესიული პრაქტიკა 2“, „ტექნიკური მიკრობიოლოგია“)

7.პროგრამის „სასურსათო ტექნოლოგია“ ყველა სასწავლო კურსში წარმოდგენილი მოცულობითი სწავლის შედეგები დაკორექტირდეს და გახდეს კომპაქტური;

8.თემატური სასწავლო სილაბუსების მიხედვით (ღვინის ტექნოლოგია, ლუდისა და უალკოლო სასმელების ტექნოლოგია და სხვა) სალექციო თემებში განხილული თემატური ტექნოლოგიები, ოპერაციები და მოწყობილობები გადანაწილდეს შესაბამისი თემატიკების მიხედვით საერთო სასწავლო სილაბუსში; ან პირიქით.

9.პრაქტიკების სასწავლო სილაბუსში დაემატოს ხორცისა და რძის საწარმოში გასავლელი საწარმოო პრაქტიკის საათები;

10.გადაიხედოს და დაკორექტირდეს დატვირთვები. განისაზღვროს ყველა სასწავლო კურსებში ჯგუფში მუშაობის ფორმა (პრაქტიკული/სემინარი), და შესაბამისად გაიწეროს მისი შეფასების კრიტერიუმები;

11.სასწავლო კურსის ლიტერატურიდან ამოღებულ იქნას პროფესიული სასწავლებისთვის განკუთვნილი ლიტერატურა და გადატანილ იქნას დამატებით ლიტერატურაში მაგ: პუტცი, შაფათავა -ნაცვლიშვილი, და სხვ.

11.პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიური პერსონალმა პერმანენტულად განახორციელოს დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სასწავლო მასალებით სალექციო

თემატიკის გამდიდრება და შესაბამისი ლიტერატურით უზრუნველყოფა. მაგ საკვები პროდუქტების წარმოების პროცესები და აპარატები გამოცემა 2017 წელი; კვების მრეწველობის საწარმოთა დაპროექტება - 2019 წელი; საკონსერვი საწარმოთა მოწყობილობები - 2021 წელს გამოცემული, 2018 წელს გამოცემული ავალიანის შ."ღვინის ტექნოლოგია"მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, ღვინის ანალიზები მცირე მარნებისთვის - ლაბორატორული სახელმძღვანელო 2021 წლის გამოცემა; ასევე რეკომენდირებულია ინგლისურენოვანი დარგობრივი ლიტერატურა, რომელიც უცხო ენის გამყარების გარდა, გააძლიერებს ტერმინოლოგიის ცოდნას ინგლისურ ენაზე.

რჩევები:

- სასურველია პროგრამის ყველა მიზანი პასუხობდეს პროგრამის სახელწოდებას რაც უფრო გააადვილებს პროგრამის არსის უკეთ გააზრებას
- სასურველია, პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდეს დაკორექტირებული პროგრამის მიზნების შესაბამისად სწავლის შედეგების დაკორექტირება;
- - პროგრამის განვითარების მიზნით საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება, ინტერნაციონალიზაცია, რომელიც არის სწავლების განვითარების და საერთაშორისო ბაზარზე ორიენტირებული კადრის მომზადების საფუძველი;
- სასურველია სილაბუსებში მეტად იყოს გამოყენებული თანამედროვე ლიტერატურა;
- გადაიხედოს საგნის სილაბუსები და განახლდეს ლიტერატურა;
- გამოყენებულ იქნას ინგლისურენოვანი ლიტერატურა.
- სილაბუსებში წარმოდგენილი მეცადინეობები დაკონკრეტდეს და დაკორექტირდეს პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები სასწავლო კურსებში გაწერილი მეცადინეობის მიხედვით;
- სასურველია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში იყოს დამატებული საბუნებისმეტყველო საგნები (ქიმია ან ბიოლოგია)
- გასაჩივრების პროცედურის გამარტივების მიზნით სასურველია, რომ სტუდენტის საჩივარი პირდაპირ კომისიამ განიხილოს, სადაც ლექტორს შესაძლებლობა ექნება დააფიქსიროს შეფასებასთან დაკავშირებული პოზიცია.
- სასურველია, რომ მეტი ობიექტურობისთვის საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების 30 ქულა შემცირდეს 20 ქულამდე.
- სასურველია პროგრამის განვითარების მიზნით კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან კომუნიკაციის დამყარება და მათგან უკუკავშირის მიღება პროგრამის ძლიერი და სუსტი
- მხარეების შესახებ და შემდგომ პროგრამაში გათვალისწინება.
- სასურველია დარგის მიმართულებით საერთაშორისო პარტნიორ ინსტიტუციებთან ავშირების ეფექტური დამყარება და შესაბამისი მიმართულებით სტუდენტებისთვის სხვადასხვა გაცვლითი პროექტებისა და პროგრამების შეთავაზება;
- სასურველია, პროგრამას გარე შეფასების ნაწილში ჰყავდეს არამარტო ქართველი გარე შემფასებელი, არამედ უცხოელი ექსპერტიც.

4.მეოთხე საკითხი : ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული მედია და კომუნიკაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტრებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№155995 16/02/2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0321- ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მარი ბროსეს ქუჩა N2, თბილისი, 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უსდ-ს მიერ წარმოდგენილ ანგარიშში გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და ჩანს თითოეული რეკომენდაციის შესრულებისთვის გადადგმული თუ დაგეგმილი ნაბიჯები. ხაზგასმით აღსანიშნავია ისიც, რომ უსდ

პასუხისმგებლობით მოეკიდა აკრედიტაციის საბჭოს დასკვნას და რეკომენდაციებისა თუ რჩევების გათვალისწინების პროცესში სრულად ჩართო შესაბამისი პერსონალი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოსა და ექსპერტს გაწეული სამუშაოსათვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:28
დასრულების დრო: 15:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული **ა(ა)იპ -** ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

5.მეხუთე საკითხი : სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტრებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№151846 15/02/2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 - ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ა. პოლიტკოვსკაიას N61, თბილისი, 0186, საქართველო, პირველი სასწავლო კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ნინო ჭალაგანიძემ, ნინო ინასარიძემ, მარიამ შენგელიამ, თეონა მატარაძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილების შესაბამისად, ანგარიშის წარმოდგენის ვადად განსაზღვრული იყო 2023 წლის 15 თებერვალი. 2023 წლის 14 თებერვალს დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ, რომელიც დოკუმენტების მიხედვით, წარმოდგენილია საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში. დაწესებულებამ გაითვალისწინა და შეასრულა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები. განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების მიზნით შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა რეკომენდაციების შესასრულებლად შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოსა და ექსპერტთა ჯგუფს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:50
დასრულების დრო: 15:59

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შენდგომ საბჭოს სხდომა 2023 წლის 25 აპრილის 16:00 საათზე გამოცხადდა დახურულად.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი